სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N4

ქ. ბათუმი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი"-ს შესაბამისად (გამარტივებული შესყიდვა), ერთის მხრივ, **ა(ა)იპ - ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური** (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი **დირექტორის დავით დიასამიძის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „თავისუფალი გაზეთი +"** (შემდგომში "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი **დირექტორის თამარ ლეფსერიძის** სახით (შემდგომში _ „მიმწოდებელი"), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. `ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ (შემდგომში - `ხელშეკრულება~) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი _ შემსყიდველს.

1.2. `ხელშეკრულების ღირებულება~ _ ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. `დღე~, `კვირა~, `თვე~ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. `შემსყიდველი~ _ ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. `მიმწოდებელი~ _ პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. `მომსახურება,~ _ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, (CPV-92400000 ახალი ამბების სააგენტოების მომსახურებები) მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის საინფორმაციო სფეროში მომსახურების გაწევა. კერძოდ, მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველის მიერ მიწოდებული მზა საინფორმაციო მასალის (შემდეგში _ „ინფორმაცია") განთავსებას ვებ-გვერდზე www.ipress.ge, მის გავრცელებას პარალელურად ერთხელ მიმწოდებლის ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე, 2021 წლის 31 დეკემბრამდე, თვის განმავლობაში არანაკლებ 10-ჯერ, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განახორციელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული წესისა და პირობების შესაბამისად.

3. საინფორმაციო მომსახურების მიწოდების პირობები

3.1. შემსყიდველი მიმწოდებელს მიაწოდებს მზა საინფორმაციო მასალას მიმწოდებლის მიერ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე, რომელსაც მიმწოდებელი დაუყოვნებლივ განათავსებს ვებ-გვერდზე www.ipress.ge-ზე და პარალელურად გაავრცელებს ერთხელ მიმწოდებლის ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე.

3.2. მიმწოდებელი უზრუნველყოფს დამკვეთის მიერ მიწოდებული მზა საინფორმაციო მასალის განთავსებას ვებ-გვერდზე www.ipress.ge და მის გავრცელებას პარალელურად ერთხელ მიმწოდებლის ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე, ზემოხსენებული მომსახურება უნდა განხორციელდეს ერთი კალენდარული თვის განმავლობაში არანაკლებ 10-ჯერ.

3.3. საინფორმაციო მომსახურების გაწევა განხორციელდება ქართულ ენაზე, ინტერნეტის საშუალებით.

3.4. მხარეები აცხადებენ რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა ხდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად და იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ვერ შეძლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობის სრულ ათვისებას იგი ვალდებულია სრულად ხელშეკრულების 5.1. მუხლით გათვალისწინებული თანხის ოდენობით განახორციელოს ანგარიშსწორება მომსახურების ღირებულებაზე მიუხედავად იმისა შეძლო თუ არა მან მისთვის მინიჭებული მომსახურების სახეობებისა და ოდენობების სრული ათვისება.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებ 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

4.2. მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელედეს ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან 2021 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში.

5. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების 1 (ერთი) კალენდარული თვის ღირებულება შეადგენს 400 (ოთხასი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით, ხოლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 4400 (ოთხი ათას ოთხასი) ლარი, დღგ-ს ჩათვლით.

5.2. შემსყიდველი მიმწოდებელთან ანგარიშსწორებას განახორციელებს ყოველთვიურად, არაუგვიანეს მომსახურების გაწევის მოდევნო თვის 10 (ათი) რიცხვისა, სააგენტოს მიერ მიწოდებული ინვოისის ან/და ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

5.3. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

5.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ მოიცავს როგორც გასაწევი „მომსახურების“ ღირებულებას, ასევე „ხელშეკრულების“ შესრულებასთან დაკავშირებით „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად საგადასახადო ანგარიშფაქტურის (ინვოისის) დადასტურებისა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის საფუძველზე, შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს ა(ა)იპ-ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი გიორგი ანანიძე (პირადი N61008004316)

6.2. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შემდეგ.

6.3 გამოვლენილი დეფექტების ან ნაკლის აღმოფხვრასთან შესყიდვის ობიექტის მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება მომსახურების მოწოდების ადგილზე.

6.4 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. მიწოდებელი:

7.1.1. ვალდებულია დროულად და ხარისხიანად უზრუნველყოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

7.1.2. ვალდებულია შესაბამისი შეტყობინების შემთხვევაში, დროულად აღმოფხვრას გაწეული „მომსახურების“ შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლი საკუთარი ხარჯებით;

7.1.3. ვალდებულია „მომსახურების“ მიწოდებისას აცნობოს „შემსყიდველს“ ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.

7.1.4. ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ვებ-გვერდზე www.IPRESS.ge-ზე განათავსოს მზა საინფორმაციო/სარეკლამო მასალა (ერთი კალენდარული თვის განმავლობაში არანაკლებ 10 (ათი) ერთეული). [PR სტატია, ფოტო - ვიდეო რეპორტაჟი]. ყოველი ახალი მასალის გამოქვეყნებისას, პირველ დღეს, მასალა დაიდება მთავარ გვერდზე, ხოლო შემდეგ გადავა შიდა გვერდზე, არქივში. მასალას გამოქვეყნებისას დაეწერება, რომ ის არის რეკლამა. მასალა ერთხელ გავრცელდება www.ipress.ge -ს ფეისბუქ-გვერდის საშუალებით.

7.1.5. უფლებამოსილია შემსყიდველის მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამოყენებისას მოახდინოს მისი თარგმნა ან რედაქტირება იმ პირობით, რომ არ შეიცვლება ინფორმაციის შინაარსი და აზრი.

7.1.6 უფლებამოსილია არქივის შექმნის მიზნით მოახდინოს შემსყიდველის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შენახვა, მათ შორის ელექტრონული სახით.

7.2. შემსყიდველი:

7.2.1. ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული „მომსახურების“ ღირებულების ანაზღაურება „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ ვადებში და პირობით;

7.2.2. უფლებამოსილია „მიმწოდებლისაგან“ „მომსახურების“ გაწევის ნებისმიერ ეტაპზე, შეამოწმოს „მომსახურების“ ხარისხის შესაბამისობა „ხელშეკრულების პირობებთან.

7.2.3. ვალდებულია არ მიაწოდის მიმწოდებელს ისეთი ინფორმაცია, რომლის წარმოება და რეალიზაცია აკრძალულია საქართველოს კანონმდებლობით; საინფორმაციო მასალებში არ უნდა იყოს სხვა მედიასაშუალებებში გამოქვეყნებულ მასალაზზე პასუხი გაცემული; კონკრეტულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე ბრალდებები ან/და მათზე პასუხი; ასევე სხვადასხვა ჯგუფის დისკრედიტაცია.

7.2.4. ვალდებულია მიმწოდებელს მიაწოდოს მზა საინფორმაციო მასალა არანაკლებ თვეში 10-ჯერ (ანონსები, ნიუსები და სხვ.) და უზრუნველყოს მისი არქივზე წვდომა;

მუხლი 8. გარანტია

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ განხორციელებული მომსახურება იქნება ხარისხიანი და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

მუხლი 9. ინსპექტირება

9.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია ჩაატაროს ინსპექტირება ნებისმიერ ეტაპზე, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს, ხოლო „მიმწოდებელი“ ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების განხორციელების დროს.

9.2. ინსპექტირებას განახორციელებს ა(ა)იპ-ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახურის შემსყიდველი ორგანიზაციის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი სოფო ბურჭულაძე (პირადი ნომერი 61002011254) და მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი გიორგი ანანიძე (პირადი N61008004316).

9.3. შემსყიდველის მიერ ინსპექტირებაზე გამოყოფილი უფლებამოსილი პირი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია განახორციელოს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება ხარვეზი, „მიმწოდებელი“ ვალდებულია, „შემსყიდველის“ მიერ განსაზღვრულ ვადაში, გამოასწოროს აღნიშნული ხარვეზი.

10. პირგასამტეხლო ხეშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების (მომსახურების მიუწოდებლობა) შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების 0.2 %-ის ოდენობით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2% (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ამ ხელშეკრულების 10.1. პუნქტით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოსთან ერთად ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5% პროცენტის ოდენობით.

10.5. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელმა უზრუნველყო ამ ხელეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილობრივ შესრულება მაშინ:

ა) შემსყიდველი ღებულობს გადაწყვეტილებას ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ ამ ხელშეკრულების შესაბამისად;

ბ) მიმწოდებელს შესრულებული ვალდებულების ღირებულებაში (ანგარიშწორების თანხაში) დაექვითება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს თანხა;

გ) მიმწოდებელთან ანგარიშსწორება მოხდება ფაქტობრივად შესრულებული ვალდებულების შესაბამისად იმ მოცულობით რაც რჩება ამ პუნქტის ,,ბ)" ქვეპუნქტის შესაბამისად პირგასამტეხლოსათვის გამოქვითული თანხის გარეშე.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის, თუ შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

11.2 ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში „ხელშეკრულების“ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე, შეტყობინების ყველა შესაძლო საშუალებით, უნდა გაუგზავნოს ინფორმაცია მეორე მხარეს, ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით, აგრძელებს „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

მუხლი 12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ნებისმიერი ცვლილება „ხელშეკრულებაში“ შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა „ხელშეკრულების“ პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3. „ხელშეკრულების“ პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება „ხელშეკრულების“ პირობები „შემსყიდველისთვის“, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. „ხელშეკრულების“ პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, „ხელშეკრულების ღირებულების“ გაზრდა დაუშვებელია „ხელშეკრულების ღირებულების“ 10%–ზე მეტი ოდენობით.

მუხლი 13. დავების გადაწყვეტა

13.1. „ხელშეკრულების“ შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ უზრუნველყოფენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს მიმართოს საქართველოს სასამართლოს დავის გადაწყვეტის მიზნით.

მუხლი 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს „ხელშეკრულების“ მოქმედება, იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ ვერ უზრუნველყოფს ვალდებულებების შესრულებას, ასევე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2. „ხელშეკრულების“ ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ „ხელშკრულებით“ განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. „ხელშეკრულება“ აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 15. სხვა პირობები

15.1. „ხელშეკრულებით“ გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

15.2. „ხელშეკრულება“ შედგენილია ქართულ ენაზე, იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

15.3. „ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა განხორციელდეს ქართულ ენაზე.

15.4. მხარეები ვალდებულნი არიან ნებისმიერი შეტყობინება განახორციელოს წერილობით. შეტყობინება ითვლება სათანადო წესით გაგზავნილად, თუ იგი ადრესატს გადასცა კურიერმა, გაგზავნილია ფოსტით, ელექტრონული ფოსტით ან ფაქსით ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით.

15.5. თითოეული მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს ისეთი ცვლილებების შესახებ, როგორიცაა: _ მისამართები, საბანკო რეკვიზიტები, სამართლებრივი ფორმა, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ა.შ.

15.6. არ გაახმაუროს მეორე მხარის კომერციული კონფიდენციალური საიდუმლო, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ურ-თიერთთანამშრომლობის შედეგად.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რევიზიტები:

შემსყიდველი
ა(ა)იპ -"ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური"
მისამართი: ქ.ბათუმი, გენ. ა. აბაშიძის ქ.№14

საიდენტიფიკაციო კოდი: 445391941
ტელეფონი: (0422) 29 43 49
საბანკო რეკვიზიტები:
ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღების ბანკი- ერთიანი ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის №: GE62TB7901736010100015
სახაზინო კოდი 740727499
დირექტორი:

დავით დიასამიძე

_____

მიმწოდებელი
შპს „თავისუფალი გაზეთი +“

მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი ძველი თბილისის რაიონი დ. აღმაშენებლის გამზ. N119/1
საიდენტიფიკაციო კოდი: 202221577
ტელეფონი:
საბანკო რეკვიზიტები:
სს „ლიბერთიბანკი“
ბანკის კოდი LBRTGE22:
ანგარიშის № GE29LB0610008036080193:

დირექტორი:

თამარ ლეფსვერიძე

_____

Digitally signed by Batumi greenery planting and landscape planning service
Date: 2021.02.03 09:58:48 +04'00'